ევროპის საბჭოს ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენცია

მონიტორინგის მექანიზმი

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

როგორია კონვენციის მიზნები?

ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ევროპის საბჭოს კონვენცია, რომელიც 2008 წლის 1 თებერვალს შევიდა ძალაში, მიზნად ისახავს ადამიანებით ვაჭრობის პრევენციას, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვასა და ადამიენებით მოვაჭრეთა სამართლებრივი დევნის უზრუნველყოფას. კონვენცია მოიცავს ადამიანებით ვაჭრობის ყველა ფორმას (იქნება ეს ნაციონალური თუ ტრანსნაციონალური, ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული თუ არა) და ვრცელდება ტრეფიკინგის ყველა მსხვერპლზე (ქალებზე, მამაკაცებსა და ბავშვებზე), აგრეთვე მოიცავს ექსპლუატაციის ყველა ფორმას. გარდა ამისა, კონვენციაში წარმოდგენილია ის ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოებასთან პარტნიორობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას.

კონვენციის ერთერთ უმთავრეს ღირებულებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ კონვენციაში აქცენტი გაკეთებულია ადამიანის უფლებებსა და მსხვერპლთა დაცვაზე. კონვენციაში ტრეფიკინგი განსაზღვრულია, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა და ადამიანის ღირსების შეურაცმყოფელი ქმედება. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის ხელისუფლების ორგანოებს პასუხი მოეთხოვებათ თუ ისინი შესაბამის ზომებს არ მიიღებენ ტრეფიკინგის თავიდან ასაცილებლად, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დასაცავად და ტრეფიკინგის შემთხვევების ეფექტიანად გამოსაძიებლად.

ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) მთელს მსოფლიოში გავრცელებული მოვლენაა, რომელსაც არ გააჩნია საზღვრები. სწორედ ამიტომ, კონვენცია აქტუალურია მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისათვის და ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია მასთან შეერთება.

როგორ ხორციელდება მონიტორინგი კონვენციის განხორციელებაზე?

კონვენციის საფუძველზე შექმნილია მონიტორინგის დამოუკიდებელი მექანიზმი, რათა შეფასდეს თუ რამდენად კარგად სრულდება კონვენციის დებულებები პრაქტიკაში. ეს მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც კონვენციის ერთერთ უმთავრეს ძლიერ მხარედ ითვლება, ორ ძირითად ღერძს ეფუძნება. ესენია: ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფი - GRETA და მხარეთა კომიტეტი.

რა არის GRETA?

ადამიანებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფი (შემდგომში GRETA) პასუხისმგებელია, რომ შეაფასოს ასრულებენ თუ არა კონვენციაზე ხელმომწერი ქვეყნები (ის ქვეყნები, რომლებმაც კონვენციის რატიფიცირება მოახდინეს) კონვენციის მოთხოვნებს. GRETA შედგება 15 დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ექსპერტისაგან, რომლებიც კონვენციის ხელმომწერ ქვეყნებს წარმოადგენენ. ეს ექსპერტები სხვადასხვა პროფესიის ადამიანები არიან (იურისტები, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, ფსიქოლოგები, ექიმები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და ა.შ.) და მათი შერჩევა ხდება კონვენციით გათვალისწინებულ სფეროებში მათი პროფესიული გამოცდილების მიხედვით. ქსპერტთა ჯგუფის წევრი ინიშნება 4 წლის ვადით და შეიძლება ჯგუფში მუშაობა კიდევ დამატებითი 4 წლით გააგრძელოს.

როგორ ახორციელებს GRETA მონიტორინგის საქმიანობას?

GRETA-ს მონიტორინგი რაუნდებად არის დაყოფილი. თითოეული რაუნდის დასაწყისში გრეტა შეარჩევს კონვენციის იმ დებულებებს, რომელთა შესრულებაზეც უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და განსაზღვრავს შეფასების გაკეთების ყველაზე უფრო ეფექტურ გზას.

GRETA, მონიტორინგის სამუშაოს შესრულებისას, ინფორმაციის შეგროვების სხვადასხვა საშუალებებს იყენებს. პირველ რიგში GRETA კითხვარებს უგზავნის იმ ქვეყნის ხელისფულების ორგანოებს, რომლის შეფასებაც ხდება. შემდეგ GRETA აანალიზებს ამ კითხვარზე პასუხად მიღებულ ინფორმაციას და თუ საჭიროა მოითხოვს დამატებით ინფორმაციას რათა ცხადი და ამომწურავი პასუხი მიიღოს კონკრეტულ შეკითხვებზე.

გარდა კითხვარის გაგზავნისა, GRETA ახორციელებს ვიზიტს შესაფასებელ ქვეყანაში. ამგვარი ვიზიტების განმავლობაში შესაძლებელი ხდება სხვადასხვა საკითხების სიღრმისეული განხილვა მთავრობის წარმომადგენლებთან, პოლიციის ოფიცრებთან, პროკურორებთან, პარლამენტის წევრებთან და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ერთად.

გარდა ამისა, შეფასებითი ვიზიტები GRETA-ს აძლევს შესაძლებლობას ეწვიოს იმ ობიექტებს, სადაც ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის დახმარების გაწევა. ამგვარად, GRETA-მ შეიძლება მოითხოვოს კრიზისის იმ ცენტრებში ან მსხვერპლთა თავშესაფრებში სტუმრობა, ან არარეგულარულ მიგრანტთა და თავშესაფრის მაძიებელთა იმ ცენტრებში, სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში ან ჰოსპიტალებში სტუმრობა, რომელთაც სახელმწიფო ორგანოები ან არასამთავრობო ორგანიზაციები მართავენ. ეს ვიზიტები შესაძლებლობას იძლევა შემოწმდეს იმ ღონისძიებათა ეფექტურობა, რომლებიც კონვენციის განხორციელების მიზნით ხორციელდება.

სამოქალაქო საზოგადოების როლი

სამოქალაქო საზოგადოება GRETA-სათვის ინფორმაციის მიმწოდებელ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. შეფასებითი ვიზიტების განმავლობაში GRETA შეხვედრებს მართავს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან (მაგალითად, პროფკავშირებთან, ადვოკატთა ასოციაციასთან, სამეცნიერო წრეებთან), ანუ იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც მონაწილეობენ ადამიანებით ვაჭრობის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებაში. GRETA-მ შეიძლება გადაწყვიტოს, რომ თავისი კითხვარი ან ინფორმაციის ნებისმიერი სხვა მოთხოვნა გაუგზავნოს არასამთავრობო ორგანიზაციებს ან სამოქალაქო საზოგადოების იმ სხვა წევრებს, რომელთაც ხელი მიუწვდებათ ინფორმაციის სანდო წყაროზე და რომელთაც უნარი შესწევთ ეს ინფორმაცია სათანადოდ გადაამოწმონ.

GRETA-ს ანგარიშები

GRETA-ს ქვეყნის შეფასების ანგარიშებში გაანალიზებულია თითოეულ ქვეყანაში არსებული სიტუაცია, შეფასებულია თუ რა ღონისძიებები იქნა გატარებული ამ ქვეყანაში ტრეფიკინგის წინააღმდეგ საბრძოლველად და მოცემულია რეკომენდაციები იმასთან დაკავშირებით თუ, როგორ შეიძლება გაძლიერდეს ეს ბრძოლა და შესაბამისად კონვენციის მოთხოვნების შესრულება. ანგარიშები იწერება თანამშრომლობითი სულისკვეთებით და მიზნად ისახავს სახელმწიფოებისათვის დახმარების გაწევას ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში.

GRETA, თავის პლენარულ სხდომაზე, განიხილავს შეფასების ანგარიშების პროექტებს (პირველად ვარიანტს). ანგარიშების პროექტები ეგზავნება შესაბამისი ქვეყნების მტავრობებს კომენტარებისათვის, ხოლო GRETA, საბოლოო ანგარიშის მომზადებისას ამ კომენტარებს აუცილებლად ითვალისწინებს. საბოლოო ანგარიში ეგზავნება შესაბამისი ქვეყნის ხელისუფლებას და მათ სთხოვენ საბოლოო კომენტარების გაკეთებას. ამის შემდეგ ხდება GRETA-ს ანგარიშების და ხელისუფლების კომენტარების საჯაროდ გამოქვეყნება.

კონვენციის მონაწილე მხარეთა კომიტეტი

მონიტორინგის მექანიზმის მეორე ღერძი გახლავთ მხარეთა კომიტეტი. იგი შედგება იმ ქვეყნების წარმომადგენლებისაგან, რომელთაც კონვენციის რატიფიცირება მოახდინეს. GRETA-ს ანგარიშების საფუძველზე, მხარეთა კომიტეტმა შეიძლება შეიმუშავოს რეკომენდაციები კონკრეტული ქვეყნებისათვის და ურჩიონ ამ ქვეყნებს თუ რა ზომები უნდა გაატარონ GRETA-ს მიერ აღმოჩენილი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

მონიტორინგიდან კონვენციის განხორციელებისათვის მხარდაჭერამდე

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ევროპის საბჭოს კონვენციის საფუძველზე განხორციელებულ მონიტორინგს სამმაგი მნიშვნელობა აქვს:

- იგი აფასებს და ხელს უწყობს ქვეყნების მიერ კონვენციით აღებული შორს მიმავალი ვალდებულებების შესრულებას;
- იგი უწევს რეკომენდაციებს ყოველ ქვეყანას, თვითოეული მათგანის თავისებურებების გათვალისწინებით, თუ როგორ დაძლიონ არსებული წინაღობები: და
- იგი წარმოადგენს საერთაშორისო თანამშრომლობის ფორუმს, სადაც შესაძლებელია ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლა და საერთაშრისო საზოგადოების გაფრთხილება ახალი ტენდენციების შესახებ, რაც ხელს უწყობს ერთობლივი ღონისძიებების გატარებას პრობლემების გადაჭრის მიზნით.

ამ მონიტორინგის სამუშაოს შედეგები ხელმისაწვდომია „ონლაინ“ რეჟიმში და ეს ანგარიშები სახელმძღვანელო მასალად იქცა ყველასათვის, ვინც კი ჩართულია ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ევროპის საბჭო ეხმარება ქვეყნების მთავრობებს კონვენციისა და მონიტორინგის პროცესის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების საქმეში.

კონტაქტებისა და დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:

ევროპის საბჭოს ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის სამდივნო
(GRETA და მხარეთა კომიტეტი)
ევროპის საბჭო / Council of Europe
F-67075 Strasbourg Cedex
საფრანგეთი / France
E-mail: Trafficking@coe.int

www.coe.int/trafficking

THB–INF (2013)1

PREMS 234113 – GEO – © Council of Europe – Photo credit: Council of Europe / Shutterstock